

# სამი ჩემპიონი—საქართველოდან

**ზაპოროჟიეში** გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

ასპარეზობიდან დაბრუნებისთანავე რედაქციას ეწვია სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **გურამ დათიაშვილი**, რომელმაც გვიამბო:

შეჯიბრებაში 15 ნაკრები მონაწილეობდა. პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად რსფსრ-სა და საქართველოს გუნდებს შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ 2 ქულის უპირატესობით ჩემპიონობა მოიპოვა რსფსრ-ს ნაკრებმა, რომელმაც 74 ქულა მოაგროვა. III ადგილზე გავიდა ყაზახეთის გუნდი — 44 ქულა.

პირად ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 3 პირველი ადგილი მოიგეს. ჩემპიონები გახდნენ თ. აფხაზავა (82 კგ), მ. სალაძე (100 კგ) და შ. მორჩილაძე (100 კგ-ზე ზევით).

**თ. აფხაზავა** ყველა შეხვედრაში ალმაცლობით იბრძოდა და შვიდივე ორთაბრძოლა მისი გამარჯვებით დასრულდა, აქედან, ხუთში მან მეტოქენი წმინდად დაამარცხა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან, ოლიმპიური თამაშების [illegible]თან ვ. ჩებოკსაროვთან (რსფსრ) მისი ორთაბრძოლა, [illegible] ქართველი სპორტსმენის აშკარა უპირატესობით აღინიშნა — 8:1. აფხაზავა ყველა შეხვედრას პირველიდან ბოლო წუთამდე მონდო-

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე;** ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები. მარცხნიდან — თ. აფხაზავა, შ. მორჩილაძე და მ. სალაძე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 10 (6571) 15 1980 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადისთვის ბაკურიანში ემზადება სსრ კავშირის მოთხილამურეთა ნაკრები




„...**მზიური** ბაკურიანის გახსენება კიდევ უფრო შეგვმატებს ძალებს ოლიმპიური ლეიკ-პლესიდის თოვლიან ტრასებზე გაჩაღებულ მწვავე ბრძოლაში!“ — ასეთი მინაწერი გაუკეთა კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, XII ზამთრის ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა, ოლიმპიური ნაკრების კომორგმა, ლენინგრადის პ. ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ევგენი ბელიაევმა.

დიახ, ეს სწორედ ის ბელიაევია — ინსბრუკის თეთრი ოლიმპიადის გმირი, რომელმაც 4 წლის წინათ ზეეფელდის ტრასაზე 4X10 კილომეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა სპორტსმენისთვის დამახასიათებელი ნებისყოფა და შემართება გამოავლინა და მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკა.

გახსოვთ? ბელიაევი ესტაფეტის პირველ ეტაპზე დამაჯერებლად ლიდერობდა რბოლას. უკან ნორვეგიელი მიჰყვებოდა. გასავლელი დარჩა 2 კილომეტრზე ნაკლები. ცოტაც და ესტაფეტას ნიკოლოზ ბაჟუკოვი ჩაიბარებს, შემდეგ სერგეი საველიევი გაეშურება წინ და, ბოლოს, ივანე გარანინი გაიჭრება ფინიშისაკენ, რათა ოქროს მედლები მოუტანონ ჩვენს გუნდს. მაგრამ... ბელიაევმა — საკმაოდ დაღლილმა, ოფლემიხდილმა — მოულოდნელად რაღაც სიმსუბუქე იგრძნო მარჯვენა ფეხში... „ადიდასის“ თეთრ ფეხსაცმელს პლასტმასის წვერი მოსტყდომოდა. ეს კი თითქმის დამარცხებას ნიშნავდა. ციცაბო აღმართი იწყებოდა. ჟენია არც დაფიქრებულა, ისე გაეშურა წინ... ცალ თხილამურზე. დაახლოებით 400 მეტრი გაირბინა, სანამ ახალი ფეხსაცმელი და თხილამური შეაშველეს. ღელავდა ნიკოლოზ ბაჟუკოვი, ადგილს ვერ პოულობდა. ნორვეგიელმა უკვე გადასცა ესტაფეტა პარტნიორს, შემდეგ ფინელმა, შვედმა... 10 გუნდი გავიდა წინ. ბელიაევი მეთერთმეტე მოვიდა — „ვინ იცის გზაში რა შეემთხვა?“, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო — ბაჟუკოვი დაედევნა „გაქცეულებს“.

— ერთი სიტყვით, ბიჭებმა ყველაფერი იღონეს, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილზე გამოვედით. — დღესაც გულისტკივილით იხსენებს ე. ბელიაევი. — ბრინჯაოს მედლები მივიღეთ. მეტის გაკეთება არც შეიძლებოდა.

რეპორტაჟი

# არა მხოლოდ თხილამურებით...

* * *

...უკვე რამდენიმე დღეა ბაკურიანის ქათქათა თოვლის საფარველს სერავენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების გუნდის წევრები, რომლებიც აქ ლეიკ-პლესიდის დიდი სტარტების წინ გადამწყვეტ მზადებას გადიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვენიდიქტ კამენსკის ხელმძღვანელობით.

სწორედ მას ვაძლევთ პირველად სიტყვას:

**— თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ქართველ მეგობრებს ჩვენზე ზრუნვა და ყურადღება არ მოუკლიათ. — დაწყებული პირველი წუთიდან, მე ვიტყოდი... თვითმფრინავის ტრაპიდან. ბაკურიანში მთელი ჩვენი კოლექტივი (ჩემთან ერთად გუნდს ავარჯიშებენ მწვრთნელები ვ. ივანოვი და ა. სმირნოვი — ქალებს, ბ. ბისტროვი და ი. ვორონჩიხინი — ვაჟებს) თავს ჩინებულად გრძნობს, რაც თქვენი რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და, ცხადია, სპორტულ ორგანიზაციათა დიდი, ყოველდღიური მეცადინეობის შედეგია. ჩვენთან სისტემატურად ამოდიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა თუ საქართველოს კომკავშირის პასუხისმგებელი ამხანაგები, ბორჯომის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ი. გურგენიძე. რაც შეეხება რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დ. პერტენავას, მასთან რეგულარული უშუალო თუ სატელეფონო კავშირი გვაქვს. ერთი სიტყვით, ჩვენს ნაკრებს პრაქტიკულად არავითარი პრობლემები არა აქვს საყოფაცხოვრებო თუ სავარჯიშო პირობების მხრივ. დიდ შრომას ეწევა სათხილამურო ბაზის (დირექტორი კ. ფანჯაკიძე) კოლექტივიც. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო ბაკურიანის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის თანამშრომელთა და მისი დირექტორის ი. ოგანეზოვის ნაყოფიერი მუშაობა „დიდი ველის“ სავარჯიშო ტრასების სპეციალური მანქანებით მომზადების საქმეში. დიდი დახმარება გაგვიწია აგრეთვე ბაკურიანში პრაქტიკაზე მყოფმა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა 25-კაციანმა ბრიგადამ უფროსი მასწავლებლის, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვიქტორ მანუილოვის ხელმძღვანელობით. სათხილამურო ტრასა მართლაც საუკეთესო გამოვიდა, იგი ზომიერი სირთულისაა, ცალკეული მონაკვეთები (როგორც ქალთა, ისე ვაჟთა დისტანციებზე) ლეიკ-პლესიდის ოლიმპიური ტრასების პროფილს შეესაბამება.**

* * *

... მთვარე ეს-ესაა გაქრა ბაკურიანის ცაზე — მზე ჯერ არ ამოსულა. ცივა. სათხილამურო ბაზის წინ ლურჯ და წითელ სპორტულ კოსტუმებში გამოწყობილი სპორტსმენები გულმოდგინედ ასრულებენ დილის ვარჯიშს — დარბიან, დახტიან, სიმძიმეებს წევენ. აი, პირველი ნაცნობი სახეც — ბევრჯერ გვინახავს ის გაზეთებისა თუ ჟურნალების ფურცლებზე, ალბომებში, ტელევიზორით... ეს სპორტის დამსახურებული ოსტატი გალინა კულაკოვაა, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, № 1 საბჭოთა მრბოლელი. იგი ნაკრების ახალგაზრდა წევრებთან — იუნიორთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან და პრიზიორებთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებთან ირინა სუსლოვასთან, ლიუბოვ ლიადოვასთან, ნადეჟდა შამაკოვასთან და ლიუბოვ ზიკოვასთან ერთად ვარჯიშობს.

— მხოლოდ ერთი შეკითხვა: ინსბრუკში 4 „ოქრო“ გვქონდა — 2-2 ვაჟებსა და ქალებს. რა „მოსავალს“ ელით ლეიკ-პლესიდის თოვლზე?

**— ნაკლებს, ალბათ, გულშემატკივრები არ გვაპატიებენ...**

შორიახლო მსოფლიოს ჩემპიონი ნინა როჩევაც ვარჯიშობს — თავის მეუღლეს — ლაჰტის (ფინეთი) ზამთრის თამაშებში გამარჯვებულს ვასილი როჩევს ეჯიბრება ადგილიდან ხტომაში.

— ნინა, დეკემბრის დამლევს კრასნოგორსკში გამართულ უძლიერეს მრბოლელთა შეჯიბრებაზე თქვენ 5 კილომეტრზე რბენა მოიგეთ. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უკვე სრულ ფორმაში ხართ?

**— მზადების მწვერვალს ჯერ ვერ მივაღწიე, მაგრამ 24 იანვრამდე დარჩენილი დღეების იმედი მაქვს. რაც შეეხება კრასნოგორსკის სტარტებს, კულაკოვამ**



**იქ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 38 წლის ასაკშიც უძლიერესია ჩვენს შორის — აშკარად გვაჯობა 10 კილომეტრზე. მე მეხუთე ვიყავი. 5-კილომეტრიან ტრასაზე კი, ზედ ფინიშზე უკან მოვიტოვე ოლიმპიური ჩემპიონები ნინა ბალდიჩევა და რაისა სმეტანინა. სამწუხაროდ, კულაკოვას ამ დღეს არ გაუმართლდა — მხოლოდ მე-9 შედეგი ჰქონდა.**

იმ დილით „მინი-ინტერვიუ“ ავიღეთ ოლიმპიურ ჩემპიონთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნიკოლოზ ბაჟუკოვთანაც:

**— კრასნოგორსკის შეჯიბრება მართლაც საინტერესო იყო. ახლა ლეიკ-პლესიდის წინ უფრო მნიშვნელოვანი ორი სტარტი გვაქვს. ერთი მათგანია ასპარეზობა „ბაკურიანის თასზე“ (მას აქ რამდენიმე საკონტროლო შეჯიბრება უსწრებს), მეორე — სსრ კავშირის თასის გათამაშებაა, რომელიც ისევ კრასნოგორსკში ჩატარდება 28 და 30 იანვარს. სწორედ ეს ორი შეჯიბრება დაადგენს საბოლოოდ ოლიმპიურ ნაკ-**

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ვ. კამენსკი (მარცხნივ) და ე. ბელიაევი.

ვ. მაჩაბლის ფოტო.

თ. ჭანიას ნახატი.



● ციგურაობა

### პეტრუსიოვას ბრწყინვალე წარმატება

**ნორვეგიის** ქალაქ ხამარის საციგურაოზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა საბჭოთა სპორტსმენმა ნატალია პეტრუსიოვამ, რომელმაც შეჯიბრების დასკვნით დღეს გაიმარჯვა 1000 მეტრზე რბენაში — 1.25,54. იმის გამო, რომ წინა დღით ნატალიას უკვე მოგებული ჰქონდა 500 და 1500 მეტრზე შეჯიბრება, I ადგილის მოხვეჭისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა 3 კილომეტრზე მის მიერ ნაჩვენებ შედეგს. აქ იგი მხოლოდ მეექვსე იყო. მრავალჭიდში პეტრუსიოვას შედეგია 179,046. II ადგილი დაიკავა ამერიკელმა ბ. ჰეიდენმა — 180,163, III — ნორვეგიელმა ე. იენსენმა — 180,922.

● სათხილამურო ორჭიდი

### დინამოელთა კვარტეტი — პირველი

**რაუბიჩში** გაიმართა საკავშირო გუნდური პირველობა სათხილამურო ორჭიდში, რომელიც მოიგო „დინამოს“ კვარტეტმა (ა. კონოშენკო, ფ. კოლჩინი, ა. ბარანოვი, ა. მაიოროვი) — 1699 ქ. მომდევნო ადგილები დაიკავეს შეიარაღებული ძალების I (1609) და II (1564,3) გუნდებმა.

● ჰოკეი

### ტოკიოს ყინულის სარბიელზე

**სსრ** კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა, რომელიც მონაწილეობს იაპონიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, მესამე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად კანადის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდთან — 6:3 (3:2, 2:0, 1:1).

### თბილისის ჟურნალისტთა VI საქალაქო კონფერენციის დელეგატთა საყურადღებოდ!

**საქართველოს** ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო იუწყება, რომ 1980 წლის 16 იანვარს დილის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14, V სართული) მოწვეულია **თბილისის ჟურნალისტთა VI საქალაქო კონფერენცია.**

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო.**

# იდეოლოგიური მუშაობა — ყურადღების ცენტრში!

**მშრომელი** მასების კომუნისტური აღზრდის თანამედროვე პრობლემების დამუშავებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს, პრაქტიკული გამოცდილების ნამდვილ ენციკლოპედიას წარმოადგენს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლები, მისი შრომები: „ლენინური კურსით", „პარტიული მშენებლობის აქტუალური პრობლემების შესახებ", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები". მოგონებათა ტრილოგია: „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი" და სხვა ნაწარმოებები. ისინი წარმოადგენენ ჭეშმარიტად უბადლო საგანძურს, რომელიც ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს გვმატებს ცოდნას და გამოცდილებას მასებში აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ამიერიდან ამ საგანძურს შეემატა კიდევ ერთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელშიც ღრმა და დეტალური ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ყრილობის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი გააკეთეს მასების შეგნების ამაღლებისათვის, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ეს დადგენილება ეხება მშრომელთა იდეურ აღზრდას და, რადგანაც ფიზიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია, იგი ყველა ასპექტით ეხება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, ამ სფეროში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ვინაიდან საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ ფიზიკურ და სულიერ განვითარებას ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან ეყრება საფუძველი, ჩვენც პირველად სკოლას შევეხებით, დავიწყებთ გაკვეთილით — ფიზიკური აღზრდის ძირითადი ფორმის გარჩევით. სამწუხაროდ, მისი ჩატარების ხარისხი ძირითადად შორსაა თანამედროვე მოთხოვნისაგან. ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ტარდება სტანდარტულად, ერთფეროვნად. მასწავლებლები წინასწარ არ ადგენენ მოსამზადებელ ვარჯიშთა კომპლექსებს, რაც ხელს უშლის გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარებას, აუფერულებს მთელ პედაგოგიურ პროცესს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად ირღვევა გაკვეთილის სტრუქტურა. მოსამზადებელ ნაწილში უფრო მეტ დატვირთვას აძლევენ მოსწავლეებს, რაც არღვევს დატვირთვათა თანდათანობით გაზრდის მოთხოვნას. დასამალი არ არის, ასეთ უგეგმო გაკვეთილს ბავშვისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

პედაგოგიური პროცესის პირველი მტერია ფორმალიზმი. ეს განსაკუთრებით ეხება გაკვეთილის კონსპექტის შედგენას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისში და, განსაკუთრებით პერიფერიებში, ფიზიკური აღზრდის ბევრი მასწავლებელი, არ ცნობს გაკვეთილის დაგეგმვის ამ მნიშვნელოვან, დასკვნით ფორმას — კონსპექტს. მე პირადად ბევრი კონსპექტი შემიმოწმებია და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ პედაგოგს საბჭოთა პედაგოგიკის მიზნებისა და ამოცანების თაობაზე არაფერი გაეგება. ლაპარაკია დიპლომიან მასწავლებლებზე. ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობს აგრეთვე: სახალხო განათლების სისტემაში შემოღებული ე. წ. მასწავლებლის ჟურნალი. იქ ისე მცირე ადგილი აქვს დათმობილი გაკვეთილის კონსპექტირებას, რომ მასწავლებელი იძულებულია ორი-სამი სიტყვით, მოვალეობის მოხდის მიზნით, სქემატურად ჩამოწეროს რამდენიმე ვარჯიში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში თავის დროზე ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი იყო. პროფესორ-მასწავლებელთა ერთობლივი აზრის გათვალისწინებით დადგენილ იქნა ჟურნალი შედგენილიყო ისე, როგორც ამას ფიზიკური აღზრდის პრაქტიკა მოითხოვს. გამოიმუშავეს ე. წ. „მინიმალური მოთხოვნები" (წერილების ციკლი გამოქვეყნდა „ლელოში" 1966 წ. 9, 10, 12. V.) მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

გაკვეთილის კონსპექტის შედგენის პროცესი თვით მასწავლებლის გაკვეთილისათვის მომზადების პროცესი უნდა იყოს, მისი როგორც პედაგოგის პროფესიული დონის ზრდის მაჩვენებელი. ამიტომ მისი უგულველყოფა დაუშვებელია. იქ, სადაც ეყრება მთელი თაობების ჯანმრთელობას საფუძველი, საიდანაც მოსჩანს ჩვენი სპორტული მომავალი, ფორმალიზმი, მეტი რომ არა ვთქვათ, დანაშაულია. ამასთან გაკვეთილებზე ნაკლებად იყენებენ, ე. წ. საშეჯიბრებო მეთოდს — „სასწავლო შეჯიბრებებს". ეს მეთოდი, გარდა იმისა, რომ აიოლებს მასალის ათვისებას, მეტი ინტერესი შეაქვს გაკვეთილში, აახლოებს ფიზკულტურულ მუშაობას სპორტთან, ეს უკანასკნელი კი, სულ უფრო უახლოვდება სკოლას. ახლა უკვე ბევრ სახეობაში სარეკორდო მაჩვენებელი მოსწავლეთა ხვედრია, ისინი არიან ტონის მომცემნი და პირველობენ.

აქ ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბევრ სკოლაში მოუწყობელია სპორტული ბაზები, არ აქვთ ინვენტარი და ა. შ. რაკვირველია, ამ საკითხებსაც უშუალო კავშირი აქვს აღზრდის საერთო დონეზე, მაგრამ მათ აქ ჩვენ არ შევეხებით.

არ შეგვიძლია არ გავუსვათ ხაზი მომეცადინეთა აქტიურობის საკითხს. როგორც ცნობილია, სწავლებაში წარმატებანი ბევრადაა დამოკიდებული თვით მომეცადინეთა აქტიურობაზე. მომეცადინეთა აქტიურობა შეგნებულობასთან ერთად ძირითადი პრინციპებია სწავლებასა და აღზრდაში.

კაცმა რომ თქვას, მეცადინეობის პროდუქტიულობა, ყველა სხვა პირობების დაცვისას, ძირითადად მომეცადინეთა მიერ შესასრულებელ მოქმედებებისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება. მომეცადინეთა დამოკიდებულება კი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად შეიძლება იყოს არა მარტო აქტიური, პასიურიც, გულგრილიც, უგულისყუროც და უხალისოც. აქედან კი მისი პროდუქტიულობაც სხვადასხვანაირი იქნება. სწორედ ამიტომაა, რომ მასწავლებლის საქმიანობა თავიდანვე მიმართული უნდა იყოს მოსწავლეებში სასწავლო მასალისადმი და საერთოდ სწავლებისადმი აქტიური დამოკიდებულების გრძნობის გაღვივებისკენ.

მასწავლებელი მეცადინეობის დროს უბრალოდ კი არ უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეთა ყურადღებას, არამედ წარმართავდეს მას. ჩვეულებრივად ასეა: რაც გვაინტერესებს, სწორედ ის იპყრობს ჩვენს ყურადღებას. აქედან კი გამომდინარეობს მასწავლებლისადმი ერთ-ერთი მოთხოვნა — მასალის გადაცემისას, პირველ რიგში საჭიროა განმარტება იმისა, თუ რისკენ უნდა იყოს მიმართული მომეცადინეთა ინტერესი, რა მნიშვნელობა აქვს შესასწავლ მასალას.

სწავლებას, როგორც ცნობილია, ყოველთვის აქვს აღმზრდელობითი მიმართულება. ამიტომაა, რომ იგი უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ მართვას, რათა პასუხობდეს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მთავარ მოთხოვნებს. ამიტომ პედაგოგიურ პროცესში ყველაფერი უნდა პასუხობდეს ცხოვრების მოთხოვნებს.

კომკავშირის III საკავშირო ყრილობაზე (1920 წელს) ლენინი აღნიშნავდა: „საჭიროა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე. მათში კომუნისტური მორალის აღზრდა იყოს". მ. ი. კალინინმა მოსკოვის წამყვან სპორტსმენებთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ ვამზადებთ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელ მოქალაქეებს და არა მიშველ სპორტსმენებს".

ამ მხრივ ბევრის მთქმელია ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები მასწავლებელთა IV ყრილობაზე 1968 წელს: „სპორტი მარტო რეკორდების დამყარება როდია. ეს არის მილიონების ჯანმრთელობა, შრომისათვის მზადყოფნა, ეს არის ჩვენი ჭაბუკების მომზადება სამხედრო სამსახურისათვის, ცხოვრებაში ისეთი საჭირო თვისებების გამომუშავება, როგორიც არის ამტანობა, დისციპლინიანობა, სიმტკიცე და მამაცობა".

ასე აფასებდა სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი დიდი ლენინი და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები აღზრდის, კერძოდ ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

როდესაც ვასწავლით ამა თუ იმ საგანს, თუ კონკრეტულ საკითხს, ერთდროულად უნდა გადავწყვიტოთ კომუნისტური მორალის აღზრდის ამოცანები. ეს იმას ნიშნავს, რომ მომეცადინეებში ჩამოვაყალიბოთ კომუნისტური შეგნებულობა, ქცევის ის ჩვევები და გრძნობები, რომლებიც პასუხობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს: მომეცადინეებში აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი, კოლექტიურობა. ფიზიკური აღზრდის პროცესში, მისი სწორი დაყენების შემთხვევაში, მუშავდება შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, შეგნებული დისციპლინა და საერთო პიროვნების ხასიათის კომუნისტური ნიშნები და ნებელობა. სწორედ მასწავლებელმა (მწვრთნელმა) უნდა შეაჩვიოს თავისი აღსაზრდელები შრომას, პატიოსნებას, სიზუსტეს მოქმედებაში, აკურატულობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, თავდაბლობასა და გულმოდგინებას.

სწავლებისა და აღზრდის მჭიდრო კავშირზე კ. უშინსკი თავის შრომებში წერდა: „სწავლება არის აღზრდის უმძლავრესი ორგანო და აღმზრდელი, რომელიც მოკლებულია ამ ორგანოს, დაკარგავს მთავარსა და უებარ საშუალებას, ჰქონდეს გავლენა აღსაზრდელებზე".

ვლაპარაკობთ რა აღზრდაზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფიზიკური აღზრდის რუსული თეორიის ფუძემდებელი პ. ლესგაფტი, რომელსაც სწორად ესმოდა ადამიანის, როგორც პიროვნების ყველა მხარის გამოვლენის ერთიანობა.

ამრიგად, აღმზრდელობითი სწავლების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ძირითად პირობად უნდა მივიღოთ გონებრივის, ზნეობრივ-ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის ერთიანობა, ანუ კომპლექსურად გადაწყვეტა, რამაც აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს აღსაზრდელებში კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა-განმტკიცებამდე.

მაშასადამე, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ვიზრუნოთ თვით ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა როგორც პროფესიულ, ისე იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. თუ მთელი ჩვენი მუშაობის ეს ძირითადი რგოლი არ შეივსო პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული, განათლებული, ენთუზიასტი ადამიანებით, საქმე წინ ვერ წავა, ვერც ჩვენი ბავშვები იქნებიან ჯანმრთელნი და რესპუბლიკის ნაკრები გუნდებიც ვერ მიიღებენ სრულყოფილ შევსებას.

არა ერთხელ დაისვა საკითხი სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე. კვირაში ორი გაკვეთილი არ არის საკმარისი. ეს დამტკიცებულია ყოველმხრივ. მაგრამ არ დაადგა საშველი ამ საკითხის დადებითად გადაჭრას. ერთ თათბირზე, როდესაც ე. წ. მესამე გაკვეთილის შესახებ მწვავე მსჯელობა გაიმართა, ერთერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა განაცხადა, კადრები არ გვყავსო. სრული სიმართლეა, კადრები საკმაო არ არის. მერე და, ვინ არის ამაში დამნაშავე? ვისი ინიციატივით გაუქმდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში პედაგოგიური ფაკულტეტი? მე ფრიად პატივს ვცემ საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების მუშაკებ[ს], მაგრამ მათი მომზადებული ფიზკულტურის მასწავლებლები ახლომახლო სოფლებს, დაბებსა და ქალაქებს ძლივს წვდება, აღარაფერს ვლაპარაკობ იმაზე, რომ მათ არ მოეპოვებათ ჭეშმარიტად კვალიფიციური კადრების მასობრივად მომზადების პირობები და გამოცდილება.

მოსკოვის ფიზიკური კულტურის ცენტრალურ ინსტიტუტშიც თავის დროზე დაიხურა პედაგოგიური ფაკულტეტი. მაგრამ ეს იყო ექსპერიმენტი. მალე მიხვდნენ, რომ მან არ გაამართლა და ფაკულტეტი აღადგინეს და მერე როგორც დამატებით შემოიღეს ცალკე საშუალო სკოლის და ცალკე უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა მომზადების სპეციალობები. ჩვენთან კი ისე გამოდის, რომ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ასეთ ექსპერიმენტს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში თავმოყრილია პროფესორ-მასწავლებელთა საუკეთესო ძალები. მათ მიერ მომზადებული კადრები საერთო განათლებით, სპეციალური პედაგოგიური ცოდნით თუ ერუდიციით გამოირჩეოდნენ ყოველთვის. ახლა კი ეს წყარო დაშრა და ჩვენ ინსტიტუტს შემორჩა მხოლოდ სპორტული ფაკულტეტები (აქ არაფერს ვლაპარაკობ დაუსწრებელ ფაკულტეტზე, სადაც პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმით მუშაობენ და ფართო პროფილის მასწავლებლებს ამზადებენ).

# აღზრდას — კომპლექსური მიდგომა

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის ზოგიერთ პრობლემაზე. ამ წერილით ყოვლისმომცველი აზრის გამოთქმის პრეტენზია არა გვაქვს. იმედია, რომ ამ საქმის სპეციალისტები, მათ შორის პრაქტიკოსებიც, გამოვლენ პრესაში და საქმიანი წინადადებებით შეავსებენ, რაც ამ წერილს აკლია.

ბევრჯერ გაიგონებდით ასეთ ჩივილს: საშუალო სკოლა იმედის მომცემ სპორტსმენს იძლევა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ჰკარგავენ სპორტულ ფორმას და ადვილად სცილდებიან სარბიელს. ეს ახალი ამბავი არ არის. ბევრმა „სკოლის მერხიდან" აღზრდილმა ახალგაზრდამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთანავე დაანება თავი სპორტს. რაშია საქმე? ამ კითხვაზე დაუფიქრებლად შეიძლება პასუხის გაცემა. სკოლაში, „სკოლის მერხიდან", მასწავლებელმა, მწვრთნელმა ჯეროვნად არ შეაყვარა სპორტი და როგორც კი გაინაღდა სტუდენტობა, თავი აღარ დაიტვირთა სექციაში მეცადინეობით.

ამიტომ პირველკურსელ სტუდენტთა შორის პირველ დღეებიდანვე უნდა გავშალოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა, პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტებმა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებმა იდეოლოგიური მუშაობა პირველ რიგში უნდა გადაქმნან აკადემიურ ჯგუფებში — ლექციებსა და სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, კლასგარეშე მეცადინეობებზე, სპორტულ ჯგუფებში, ე. ი. იქ, სადაც სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს, სადაც სტუდენტი თეორიულსა და პრაქტიკულ ცოდნა-ჩვევებს იძენს, სადაც ფიზიკურად ყოველმხრივ ვითარდება, სადაც ყალიბდება, როგორც სპორტსმენი, როგორც მომავალი მწვრთნელი, მასწავლებელი. ამიტომ მკვეთრად უნდა ამაღლდეს მაპროფილებელი და სპეციალური პრაქტიკული საგნების მეთოდოლოგიური, მსოფლმხედველობითი მხარე. რაც მთავარია, ისინი ორგანულ კავშირში უნდა იყოს პროფესიულ მომზადებასთან. შესაბამისმა კათედრებმა ამ მიმართულებით ახლავე უნდა შეიტანონ სათანადო კორექტივები წინასწარ დამტკიცებულ თემატურ, ან როგორც ამ ბოლო დროს მათ უწოდებენ, სამუშაო პროგრამებში.

მაგრამ, ჩვენს მიერ შედგენილი პედაგოგიურად სრულყოფილი გეგმები ქაღალდზე დარჩება, თუ პირველ რიგში სათანადო დისციპლინა არ დავამყარეთ სტუდენტებს შორის. დაბალი დისციპლინა ყველა ბოროტების საფუძველია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პირდაპირ მითითებულია ამის შესახებ. კაპიტალიზმის ქვეყნებიდან შემოსული, ჩვენთვის მიუღებელი ქცევა სწორედ უდისციპლინო სტუდენტებში იკიდებს ფეხს, ღვივდება და წამლავს გარემოს.

სტუდენტს უნდა უყვარდეს თავისი სასწავლებელი, უხაროდეს ამხანაგებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა. ამიტომ სამეცნიერო წრეების მუშაობა, მხატვრული თვითშემოქმედება, აგიტმასობრივი საღამოები და სხვა საშუალებანი უნდა გამოვიყენოთ სტუდენტთა საერთო განათლების გაზრდისა და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დაახლოებისათვის. ფიზკულტურის ინსტიტუტი (პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები, სხვა უმაღლესი სასწავლებლის კათედრები) სპეციფიკური სასწავლებელია. მის კონტიგენტში ბევრი წამყვანი სპორტსმენია, რომლებიც ხშირად საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობენ და ამიტომ ლექციებს ყოველთვის ვერ ესწრებიან. საბედნიეროდ, ბევრი მათგანი შეგნებულად იქცევა და ბეჯითი სწავლით სძლევს ხოლმე ჩამორჩენას. მაგრამ ბევრს ჩვენი დახმარება სჭირდება საგნების ათვისებაში. მაგრამ დახმარება „დათვურ სამსახურში" არ უნდა გადაიზარდოს.

სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ერთ მიზანს ემსახურება. სკოლამ უმაღლეს სასწავლებელს უნდა მისცეს ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებული ნედლი მასალა, რათა მან დაამუშაოს ფიზიკურად და იდეურად სრულყოს და ისევ მას დაუბრუნოს ახალ თაობათა აღზრდისათვის. ამ აკადემიურ წრეში ყოველი მცირე შეფერხება არ იმალება, თავს იჩენს და სულ ხშირად სამარცხვინო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე. ცუდად აღზრდილი სპორტსმენის წყალობით, რამდენჯერ წაგვიგია უკვე მოგებული შეჯიბრება და წყალში გადაყრილა წლების განმავლობაში გაწეული მუშაობა.

ცხოვრება წინ მიდის. თვალშეუვლები სისწრაფით ვითარდება მოვლენები, მეცნიერული აზროვნება სასწაულებს ახდენს. მისი კეთილისმყოფელი გავლენა ფიზკულტურასა და სპორტსაც სწვდება და სულ ხშირად საფუძვლიანად ცვლის წვრთნის მეთოდებს, სრულყოფს სპორტულ ინვენტარს. ყოველივე ამას განზოგადება, რიგითი მწვრთნელებამდე დაყვანა სჭირდება, რათა ჯერ თვითონ შეიგრძნოს, შეითვისოს ეს სიახლე და შემდეგ პედაგოგიური პროცესების სრული დაცვით გადასცეს აღსაზრდელს, რათა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლის მერხიდან შეითვისოს ბავშვმა წვრთნის ახალი მეთოდები.

მაშასადამე, მივედით იქ, საიდანაც იწყება ჩვენი სპორტული მიღწევები — მწვრთნელი! აი მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობის ცენტრალური ფიგურა. ორიოდე სიტყვით უნდა დავახასიათოთ იგი, მისი პრინციპული მხარეები.

**მწვრთნელი — პირველ რიგში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელია.** იგი კარგად უნდა ფლობდეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისათვის სავალდებულო ყველა საერთო და სპეციფიკურ მოთხოვნებს. მწვრთნელი, თავისი კვალიფიკაციით, მასწავლებელზე მაღლა უნდა იდგეს, რამდენადაც სპორტი, სპორტული წვრთნა, მართალია სპეციალიზებულია, მაგრამ მაინც ფიზიკური აღზრდის პროცესია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი ვალდებულია შემოქმედებით იხელმძღვანელოს ყველა იმ დებულებებით, მეთოდიკით, რაზედაც აგებულია ფიზიკური აღზრდა, როგორც კომუნისტური აღზრდის ორგანული ნაწილი.

ვ. ელაშვილი,
პროფესორი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა











# არა მხოლოდ თხილამურებით...

დასასრული

რებს (7 ვაჟი და 5 ქალი), რომელიც 5 თებერვალს თეთრ ოლიმპიადაზე გაემგზავრება. ახლა ბაკურიანში 10 ქალი და ამდენივე ვაჟი ვემზადებით.

...10 საათზე მოთხილამურენი, როგორც აქ ხუმრობენ, „საკუთარი ტრანსპორტით" მიეშურებიან პირდაპირ „დიდი ველისკენ" დღის პირველი ვარჯიშის ჩასატარებლად. თუ რამდენ საათს ვარჯიშობენ ისინი, ან რამდენ კილომეტრს გადის თითოეული, ამაზე, ვფიქრობთ, არ არის საჭირო ლაპარაკი. საკმარისი იყო თუ არა მზადება, რამდენად სწორად მიმდინარეობდა იგი — ამაზე პასუხს, ცხადია, თვითონ ლეიკ-პლესიდი გაგვცემს.

* * *

...ბინდი ჩამოწვა ბაკურიანში. ნაჯაფი სპორტსმენები სათხილამურო ბაზის შენობაში შეკრებილან. ერთნი საჭადრაკო დაფაზე „განაგრძობენ" პაექრობას, მეორენი — ტელევიზორთან სხედან. საკმაოდ დიდი ჯგუფი მოკალათებულა ბიბლიოთეკაში — ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ დღეს დაბიდან ახალი წიგნები ამოიტანეს. ბელიაევმა ალექსი ტოლსტოის „პეტრე პირველი" აირჩია, რ. ხვოროვამ — გრიგოლ აბაშიძის „დიდი ღამე", ზინაიდა ამოსოვამ — ემილ ზოლას მოთხრობები, ბალდიჩევამ — შიშკინის „უგრიუმ-მდინარე", ბაჟუკოვმა — სერგეი ესენინისა და მიხეილ დუდინის ლექსები, ალექსანდრე ზავიალოვმა და ნიკოლოზ ზიმიატოვმა — იუმორისტული მოთხრობები, ხოლო იური ვახრუშევმა „ვეფხისტყაოსანი" მოითხოვა.

—ჩვენი ოლიმპიელები ძალზე ნაყოფიერად ემზადებიან ლეიკ-პლესიდისათვის, — ამბობს ნინა ბალდიჩევა, — ბაკურიანში ახლა კარგი ბაზა გვაქვს, ლამაზად არის გაფორმებული, სისუფთავეა, დისციპლინაც იგრძნობა. ჩვენზე ყველა ზრუნავს. ტრასებიც საუკეთესოა, თუმცა ერთობ რთული, მაგრამ ეს სასარგებლოცაა. ხომ გაგიგონიათ: „ძნელია სწავლა — ადვილია ბრძოლა!" ჩინებული კოლექტივი გვყავს — მეგობრული, მებრძოლი, გამოცდილებიც არიან ჩვენთან და შედარებით ახალბედებიც. შრომაც გვიყვარს და დასვენებაც...

— ოლიმპიელთა გუნდისათვის, რომელიც მეტწილად კომკავშირელებისაგან შედგება, ბევრი საინტერესო ღონისძიება გვაქვს შემუშავებული — გვესაუბრება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ოლიმპიური ნაკრები გუნდების კომორგი ვახტანგ ქათამაძე — ოლიმპიელებთან სტუმრად უკვე იყვნენ მცირე მიწის ბრძოლის მონაწილე შალვა თათარაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ტრისტან ქართველიშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართულ ხალხურ საკრავთა ტრიო (თემურ სიყმაშვილი, გია ასათიანი, ზაზა მამალაძე), გოგონათა ანსამბლი „მაისი". ამ დღეებში ბაკურიანში სხვა შემსრულებლებიც ჩამოვლენ, გავმართავთ ექსკურსიას ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანაში, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან და ა. შ.

— მაინც ვისგან ელით ლეიკ-პლესიდში ყველაზე მედგარ მეტოქეობას — ვეკითხები № 75 ოთახის ბინადარს ევგენი ბელიაევს (მისი სიმაღლე თითქმის ორ მეტრს აღწევს და ბაზის მესვეურებს ერთგვარი შიში ჰქონდათ — ჩვენს საწოლზე იგი როგორ მოთავსდებაო):

— თითქმის ყველა გუნდში არიან ძლიერი მოთხილამურეები. პირველ რიგში უნდა დავასახელო ნორვეგიელები, შვედები, ფინელები, პოლონელები, ჩეხოსლოვაკიელები, გდრ-ის სპორტსმენები და, ცხადია, მასპინძლები. ცალკეულ სპორტსმენთაგან გამოვყოფ ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორს, პოლონელ იუზეფ ლუშჩეკს, შვედ სვენ-ოკე ლუმბეკს, ამერიკელებს — ბილ კოკსა და სპენსერს.

...საათის ისრები საღამოს 10-ს უახლოვდება. ცისფერ ეკრანზე „ვრემიას" ემბლემა გამოჩნდა. სათხილამურო ბაზის კომკავშირელები სოფიკო ხეთაგაშვილი, თინა თვაური, ცირა სანაკოევა და მხატვარი თენგიზ ჭანია კედლის გაზეთ „კოხტა-I"-ის ახალი ნომრის გამოშვებას ამთავრებენ. „წარმატებით სტარტებს გისურვებთ, საბჭოთა ოლიმპიელებო, ლეიკ-პლესიდში!" — ლამაზად მოხატული მისალმება ამშვენებს გაზეთს. მოდით, ჩვენც შევუერთდეთ ამ სურვილს...

**ო. ნოზაძე.**
„ლელოს" სპეც. კორ.
ბაკურიანი.

* * *











ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — გ. კულაკოვა, ს. საველიევი, რ. სმეტანინა, ვ. როჩევი, ნ. ბალდიჩევა; ქვემოთ — რ. ხვოროვა, ნ. როჩევა, ა. ზავიალოვი, ზ. ამოსოვა.

ჯ. კასრაძის ფოტოები.
თ. ჭანიას ნახატი.

## ჰორიზონტზე ლეიკ-პლესიდი ●

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

ლეიკ-პლესიდი. ამერიკის ამ საკურორტო ქალაქში მორიგი, XIII ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე თვეზე ნაკლები დარჩა. სპორტსმენებს, ჟურნალისტებს, სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ, როდის იქნება მზად ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი, გაკეთებულია თუ არა ყველაფერი, რომ შეჯიბრებები წარმატებით ჩატარდეს? აი, რა თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ბერნარდ ფელმა.

### მასპინძელთა საახალწლო საზრუნავი

— ავაშენეთ ძირითადი კომპლექსები, რომლებზეც გაიმართება შეჯიბრებები, — თქვა ფელმა. — გამონაკლისია მხოლოდ ყინულის სარბიელის ძველი შენობა, რომლის რეკონსტრუქციასაც 24 იანვრისთვის მოვრჩებით. მთავარი ამოცანაა შევქმნათ მომსახურების საიმედო სისტემა. გადასაწყვეტია ტრანსპორტის პრობლემა, რომელიც შედარებით ძნელია ისეთი პატარა ქალაქისთვის, როგორიცაა ლეიკ-პლესიდი, სატელეფონო, საინფორმაციო და სხვა კომუნიკაციების ქსელების შექმნა ოლიმპიადის მომარაგების უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ არ არის მზად ძირითადი პრეს-ცენტრი. იგი მოეწყობა სკოლის შენობაში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეცადინეობა. ჯერჯერობით მხოლოდ სატელეფონო კვანძის დადგმა შევძელით.

უკვე აშენებულ ნაგებობებში გაიმართა მთელი რიგი წინაოლიმპიური შეჯიბრება, რომლის ძირითადი მიზანი იყო სპორტული კომპლექსების მზადყოფნის შემოწმება. ამ რეპეტიციაზე გამოვლინდა რამდენიმე სერიოზული ხარვეზი. უპირველესად ეს ეხება ციგებით სწრაფდაშვების ტრასას, სადაც გამოითქვა სერიოზული პრეტენზიები სპორტსმენთა და მაყურებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე.

მოგვიხდა არსებითი შესწორების შეტანა ყინულის ახალი სარბიელის კონსტრუქციაში, გადაკეთდა განათება, ჰაერის კონდიცირების სისტემა, ყინულის გაყინვის სისტემის რეგულაცია. (საკდესი).

### იუგოსლაველი სპეციალისტი მიიწვიეს

მოხდა ისე, რომ ნორვეგიელ ორჭიდელთა მწვრთნელად ტრამპლინიდან ხტომაში იუგოსლაველი სპეციალისტი ლ. ზაიცი მიიწვიეს. არადა, ამ ქვეყანაში ორჭიდში არანაკლებ გამოცდილი მწვრთნელები ჰყავთ. როგორც ქვეყნის სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ოლიმპიადის სამზადისისთვის ზაიცის მიწვევა ხელს შეუწყობს გუნდის დისციპლინის განმტკიცებას.

ზაიცმა პირველი რეფორმები უკვე გაატარა: თუ აქამდე ნორვეგიელი ორჭიდელები დღის პირველ ნახევარში ხტომებში ვარჯიშობდნენ, ხოლო მერე დროს რბენაში წვრთნას უთმობდნენ, ახლა უმეტესად პირიქითაა. ფაქტიურად ასე ვარჯიშობენ გდრ-ის ორჭიდელებიც და უნდა ვიფიქროთ, რომ ზაიცმა მათი დადებითი გამოცდილება გადაიღო. თუ რა შედეგს მისცემს ნორვეგიელ მოთხილამურეებს საქმიანობის ასეთი ფორმა, ოლიმპიადა დაგვანახებს.

## პანორამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სამი ჩემპიონი საქართველოდან

დასასრული

მებით ატარებდა, რამაც განაპირობა კიდევაც მისი წარმატება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონმა **მ. სალაძემ** პირველობაზე ექვსი შეხვედრა გამართა და ექვსივე თავის სასარგებლოდ დაამთავრა (ოთხჯერ მეტოქენი ბეჭებით ხალიჩას ვადამდე გააკრა). ფინალში მან 6 ქულის უპირატესობით მოუგო ლიტველ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ვ. მიზგაიტისს, კარგ სტილში სძლია ევროპის პირველობის პრიზიორს მინასიანს (ერევანი), რომელიც საბოლოოდ III ადგილზე გავიდა.

ჩემპიონატზე თავისებური რეკორდი დაამყარა **შ. მორჩილაძემ.** მან ყველა შვიდი შეხვედრის მოგებისთვის საერთო ჯამში 2 წუთი და 10 წამი დახარჯა. რსფსრ-ს ჩემპიონი ჟილაევი, რომელიც საბოლოოდ II ადგილზე გავიდა, 18 წამში დასდო ბეჭებზე, ხოლო მესამე პრიზიორს, რონეს 30 წამში სძლია.

შეჯიბრების მესამე პრიზიორი გახდა რ. აბრამიშვილი (68 კგ). ვ. ბლაგიძე ამ ასპარეზობაში მისთვის უჩვეულო წონაში (57 კგ) გამოდიოდა. საერთოდ, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებს ისე უხდებოდათ ბრძოლების ჩატარება, რაც მათ შესაძლებლობათა მაქსიმუმის გათვალისწინებითაა ნაკარნახევი. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ბლაგიძე IV ადგილს დასჯერდა. პირველობა ერგოთ ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, ბაქოელ ალიევს, ქების ღირსნი არიან, აგრეთვე, 48 კგ წონის ზ. სირაძე (V ადგილი) და გ. დონღუზაშვილი (90 კგ). მან IV ადგილი მოიპოვა.

საქართველოს დასახელებული სპორტსმენების გარდა ცენტრალურ საბჭოს ნაკრებში, რომლებიც საკავშირო პირველობისთვის მოემზადება, შევიდნენ ე. მაჩაიძე (74 კგ) და ჯ. მახარაძე (82 კგ).

### ● მძლეოსნობა

### კვლავ რეკორდები

**აშშ-ს** ქალაქ ჯონსონ-სიტის დარბაზში ჩატარებულ მძლეოსანთა ასპარეზობაში ლ. მირიკსმა (აშშ) სიგრძეზე ხტომაში დაძლია 837 სმ. მსოფლიო რეკორდსმენის ბ. ბიმონის წინა მიღწევა — 830 სმ მირიკსმა გაიმეორა გასული წლის ზამთარში. ოლიმპიადისწინა სეზონში 23 წლის ამერიკელმა ათლეტმა განახორციელა ყველაზე გრძელი ნახტომი — 852 სმ.

• • •

იუნიორთა შორის მსოფლიო რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში, ფრანგმა ტ. ვინიერომ დაძლია 562 სმ სიმაღლე. ეს შედეგი ახალი ევროპული რეკორდია დარბაზებისთვის. შეჯიბრება მოეწყო პარიზში.

### ● ჩოგბურთი

### ამჯერად — გამარჯვება

**„კინგზ** კაპის" (სამეფო თასი) პრიზზე გამართულ ტურნირის მორიგ მატჩში საბჭოთა გუნდმა უმასპინძლა ავსტრიის ნაკრებს და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:0.

საბჭოთა გუნდს პირველი ქულა მოუტანა ა. ზვერევმა, რომელმაც სძლია ბ. პილსს — 6:3, 6:4. შემდეგ ვ. ბორისოვმა მოუგო რ. რეინინგერს — 6:3, 6:3. წყვილთა შეჯიბრებაში ბორისოვმა და თ. კაკულიამ ფარ-ხმალი დააყრევინეს რეინინგერსა და ჰ. შტიგლერს — 7:5, 4:6, 6:1. ჩვენი ნაკრების ქვეჯგუფში მონაწილე უნგრეთის გუნდმა დაამარცხა საფრანგეთის ჩოგბურთელები — 2:1 და ხელთ იგდო ლიდერობა. „ა" ჯგუფში დაწინაურდა გფრ-ის ნაკრები.

საბჭოთა გუნდს მორიგი მატჩი ექნება 17 იანვარს საფრანგეთის ჩოგბურთელებთან.

● მძლეოსნობა





# ზამთრის პირად-გუნდური...

**გუშინ** საღამოს თბილისში, „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში დასრულდა რესპუბლიკის სპორტული სკოლების ზამთრის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში. გუნდები სამ ჯგუფად დაიყვნენ: 1961-62 წლებში დაბადებულნი სპორტსაზოგადოებების პირველობაში გამოდიან, ხოლო 1963-64 წლებში დაბადებულნი— საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლების (I ჯგუფი), სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ქუთაისის (II ჯგუფი), აგრეთვე თბილისის სპორტული I სკოლა-ინტერნატის ინტერესებს იცავენ.

ასპარეზობის პირველივე დღეს რამდენიმე მონაწილემ ამ ასაკებისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგით გაიმარჯვა. მაგალითად, უფროს ასაკში პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბეს: ვაჟთა შორის 60 მეტრზე რბენაში — ბ. გოცირიძემ („შრომითი რეზერვები“) — 6,8, ამავე მანძილზე თარჯრბენში — დ. კალაძემ („განთიადი“) — 8,2, ბირთვის კვრაში — გ. მიქაძემ („ბურევესტნიკი“) — 15,77, სიგრძეზე ხტომაში — გ. ჩადუნელმა („დინამო“) — 692 სმ.

უფროსი ასაკის. ქალიშვილებში 60 მეტრზე რბენა მოიგო ო. ვიქტოროვამ („შრომითი რეზერვები“) — 7,8, ო. ვერშინინამ („ლოკომოტივი“) 170 სმ სიმაღლე დაძლია, მანვე ყველას აჯობა 60 მეტრზე თარჯრბენში — 9,0.

პატარებიდან აღსანიშნავია გოგონების შეჯიბრებაში სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლის მ. აზარაშვილის წარმატება 60 მეტრზე — 7,6 და ი. ჩოგოვაძისა (პროფსაბჭოს სკოლა) — სიმაღლეზე ხტომაში — 170 სმ.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა ამ დღეს I თანრიგის ნორმას შეწვდა, აგრეთვე, ლ. შალიგინა („განთიადი“). მან თარჯრბენში ო. ვერშინინასთან 0,1 წამით წააგო.

* * *

**სურათებზე:** ვაჟები თარჯრბენის დისტანციაზე; ი. ჩოგოვაძე ასპარეზობის დროს.

ჯ. ლომაძის ფოტოები.

● ჭადრაკი

## დაწინაურდა მესხი

**დუშანბეში** გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატები გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

გოგონათა შეჯიბრების VII ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თ. მესხის (ქუთაისი) ი. ბერეზინასთან (უკრაინა) შეხვედრას. ქუთაისელმა მოჭადრაკემ ჩინებულად ითამაშა, გაიმარჯვა და 6 ქულით ხელთ იგდო ერთპიროვნული ლიდერობა. მის უახლოეს მდევნელებს ბერეზინას, ლ. შუხმანს (ბელორუსია), ტ. სიტნიკოვას (ლენინგრადი), ლ. აფინოგენოვას (მოლდავეთი) და ი. ერუსლანოვას (რსფსრ) 5-5 ქულა აქვთ.

VIII ტურში მესხის მეტოქეა სიტნიკოვა.

საქართველოს სხვა წარგზავნილებს — ც. ქასოშვილს (გორი) 4 ქულა აქვს, ი. აბზიანიძეს (ქუთაისი) — 3, ნ. მუსერიძეს (თბილისი) — 2,5.

ჭაბუკთა ტურნირში ჩვენი წარმომადგენლები, სამწუხაროდ, წარუმატებლად გამოდიან: 7 ტურის შემდეგ დ. ჩაჩიბაიამ 3,5 ქულა მოაგროვა, ი. კუზმინმა (ორივე — თბილისი) და გ. თორიამ (ზუგდიდი) — 3-3.

აქ ლიდერობენ ი. ვოიტკევიჩი (ლატვია) და ლ. ელვესტი (ესტონეთი) — 5,5-5,5.

## პანორამა

● ხელბურთი

## „ბალტიკის თასი“ — საბჭოთა გუნდს

**საბჭოთა** ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მოიხვეჭა „ბალტიკის თასი“, რომლის გათამაშება მოეწყო გფრ-ის ქალაქ კილში. ჩვენმა სპორტსმენებმა დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები — 18:16 (11:10). საბჭოთა გუნდიდან საუკეთესო იყო ვ. ბელოვი, რომელმაც მეტოქის კარში 9 ბურთი გაიტანა.

ოლიმპიური ფეხბურთის ტალღაზე

## ვინ გაიმარჯვა?

**ლონდონი — 1908**

**დიდი ბრიტანეთი — დანია 2:0**

დიდი ბრიტანეთი: ბეილი — კორბეტი, ჰ. სმითი— ჰანტი, ჩეპმენი, ჰეუკესი — ბერი, ვუდვორდი, სტეპლეი, პარნელი, ჰარმენი.

**სტოკჰოლმი — 1912.**

**ინგლისი — დანია 4:2**

ინგლისი: ბრებნერი — ბერნი, კნაიტი — მაკ ვლესტერი, ლიტლვორტი, დინსი — ბერი, ვუდვორდი, უოლდენი, ჰარი, შერპე.

**ანტვერპენი — 1920**

**ბელგია — ჩეხოსლოვაკია 2:0**

ბელგია: დე ბიე — შვართებროკი, ვერბოეკი — ფიერენსი, ჰასი, მოში — ვან ჰეგე, კოპე, ბალინი, ნიცო, ებდენი.

**პარიზი — 1924**

**ურუგვაი — შვეიცარია 3:0**

ურუგვაი: მაცალი — ნაზაცი, არისპე — ანდრადე, ვიდალი, ჩიერა — ურდინარანი, სკარონე, პეტრონე, ჩეა, რომანო.

**ამსტერდამი — 1928**

**ურუგვაი — არგენტინა 2:1**

ურუგვაი: მაცალი — ნაზაცი, არისპე — გესტიდო, ფერნანდესი, ანდრადე — კასტრო, ჩეა, პეტრონე, კამპოლო, ურდინარანი.

**ბერლინი — 1936**

**იტალია — ავსტრია 2:1**

იტალია: ვენტურინი — ფონი, რავა — ბალდო, პიკინი, ლოკატელი — ფროსი, მარკინი, ბერტონი, ბიაჯი, კაბრიოტი.

**ლონდონი — 1948**

**შვეცია — იუგოსლავია 3:1**

შვეცია: ლინდბერგი — კ. ნორდალი, ნილსონი — როზენგრენი, ბ. ნორდალი, ანდერსონი — როზენი, გრენი, ჰ. ნორდალი, კარლსონი, ლიედჰოლმი.

**ჰელსინკი — 1952**

**უნგრეთი — იუგოსლავია 2:0**

უნგრეთი: გროშიჩი — ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში — ბოჟიკი, ზაქარიაში — ჰიდეგკუტი, კოჩიში, პალოტაში, პუშკაში, ციბორი.

**მელბურნი — 1956**

**სსრ კავშირი — იუგოსლავია 1:0**

სსრ კავშირი: იაშინი — კუზნეცოვი, ბაშაშკინი, ოგონკოვი —მასლიონკინი, ნეტო — ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

**რომი — 1960**

**იუგოსლავია — დანია 3:1**

იუგოსლავია: ვიდინიჩი — ჯურკოვიჩი, როგანოვიჩი, იუსუფი— ზანეტიჩი, პერუშიჩი — ანკოვიჩი, მატუში, გალიჩი, კნუზი, კოსტიჩი.

**ტოკიო — 1964**

**უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1**

უნგრეთი: სენტმიხაი — ნოვაკი, ორბანი, იხასი, როგრადი — შეპეში, ფარკაში — ჩერნაი, ბენე, კომორა, კატონა.

**მექსიკა — 1968**

**უნგრეთი — ბულგარეთი 4:1**

უნგრეთი: ფატერი — ნოვაკი, ე. დუნაი, პანჩიჩი, ნოსკო — იუსასი, სიუჩი — ფაზეკაში, მენცელი, ა. დუნაი, ნადი.

**მიუნხენი — 1972**

**პოლონეთი — უნგრეთი 2:1**

პოლონეთი: კოსტკა — გუტი, ჩმიკევიჩი, გორგონი, ანჩოკი — შოლტისიკი, კრასკა, დეინა (სიმჩაკი), მასჩიკი — ლიუბანსკი, გადოხა.

**მონრეალი — 1976**

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — პოლონეთი 3:1**

გდრ: კროი — კიშე, დიორნერი, ვაიზე, კურბიუვაიტი — ლაუკი, ჰეფნერი, შადე — რიდიგერი (ბრანში), ლევე (გრებნერი), ჰოფმანი.

## ფერნანდესის განცხადება

**არგენტინელმა** მწვრთნელმა ფერნანდესმა, რომელიც ახლა კოლუმბიის ერთ-ერთ კლუბს ხელმძღვანელობს, ბოგოტაში ჟურნალისტებთან საუბარში სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ არგენტინელთა გამარჯვება პერუს ნაკრებთან მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში ანგარიშით 6:0 (ამ ანგარიშმა არგენტინას საშუალება მისცა ბურთების შეფარდებით გაესწრო ბრაზილიელებისათვის და ფინალში გასულიყო) გარიგების შედეგი იყო. ამ გარიგების ძალით, დამარცხებული გუნდის თვითეულმა მოთამაშემ 50 ათასი დოლარი მიიღო.

„სპორტივნაია ნედელია“ (ლენინგრადი).

## კიგანის გეგმები

**ევროპის** № 1 ფეხბურთელმა კიგანმა ბრიტანეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ წლეულს ყოველ ღონეს იხმარს, რათა მისმა კლუბმა „ჰამბურგმა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვოს, შემდეგ კი სხვა გუნდში გადავა.

— მე ბევრი წინადადება მივიღე, — განაცხადა მან, — მათგან ყველაზე საინტერესოდ მიმაჩნია მიწვევები ლონდონის „ჩელსიდან“, „ბარსელონადან“, ერთი საუდის არაბეთისა და ერთი ჩრდილოამერიკული კლუბიდან. მე მათ აუცილებელ პირობას ვუყენებ — უნდა გამანთავისუფლონ ინგლისის ნაკრების ყველა ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი დახმარებით ინგლისის ნაკრები მოიგებს ევროპის ჩემპიონატს 1980 წელს და მსოფლიოს ჩემპიონატს 1982 წელს. ამის შემდეგ ფეხბურთს თავს დავანებებ და ძალებს ვცდი პოლიტიკურ სარბიელზე. კერძოდ, მინდა ჩემი კანდიდატურა პარლამენტში წამოვაყენო ლეიბორისტული პარტიიდან.

●

## ოთხი ოფიციალური პროტესტი

**ფიფა-ს** გადაწყვეტილებამ ისრაელის ნაკრების მსოფლიოს პირველობის VI ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ჩარიცხვის შესახებ (აზიის ქვეყნებმა არ ისურვეს მასთან თამაში), გამოიწვია ამ ჯგუფის მონაწილეების — პორტუგალიის, ჩრდ. ირლანდიის, შოტლანდიისა და შვეციის ნაკრებების ოფიციალური პროტესტი.

## ნორჩების კეთილი მეგობარი

**სოფელ** ვოსტრეცოვოში ახლა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში ვარჯიში ცურვაში. მწყობრში ჩადგა ოხოტის სანაპიროზე პირველი აუზი. სპეციალური სისტემა ათბობს წყალს, აწესრიგებს ჰიგიენურ პირობებს.

ახალმშენებლობა სოფლის მოზარდებმა ბავშვის საერთაშორისო წელს მიიღეს საჩუქრად. „ნეპტუნის სახლში“ (ასე შეარქვეს აუზს) ყველა მსურველს შეუძლია ვარჯიში. ცურვის სექციებს ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი მწვრთნელები. ალბათ დიდი დრო დასჭირდება, მანამ ნორჩი მოცურავეები სპეციალისტთა ყურადღებას მიიპყრობენ, მაგრამ გამოცდის ჩაბარება სამკერდე ნიშანზე „ვისწავლე ცურვა“ ყოველი მეორეკლასელისთვის სავალდებულო იქნება.

ხაბაროვსკის მხარის ჩრდილოეთ რაიონში დიდ მზრუნველობას იჩენენ ნორჩი თაობის გამოწრთობისთვის. კოლმეურნეობა გოგონებსა და ბიჭუნებს უთმობს თავის სპორტულ ბაზას: სტადიონს, სავარჯიშო დარბაზებს, ტირს. აქ სარგებლობენ ბუნების „ყურადღებით“ და ყველაზე ადრე გამართავენ ხოლმე საციგურაოებს, ჰოკეის მოედნებს. ხოლო ჩრდილოეთში ყველაზე პოპულარულ, სათხილამურო სპორტის შეჯიბრებაში ბავშვები უფროსებთან ერთად მონაწილეობენ.

ტრადიციად იქცა ყოველთვიურად შეამოწმონ ნორჩების სპორტული საქმიანობა. ხელმძღვანელობის „შორეული მიზანი“ კარგ ნაყოფს იძლევა. ვოსტრეცოვის კოლმეურნეობაში კადრების დენადობას არა აქვს ადგილი. უკვე ბავშვობიდან აქვთ გადაწყვეტილი პროფესია. რა თქმა უნდა, მეთევზეები უნდა გახდნენ. (საკდესი).

სოფ. ვოსტრეცოვო.
ხაბაროვსკის მხარე.

## სკოლებში „ოლიმპიური“ საგნები

**დონეცკში,** რუტჩენკოვსკის სარემონტო ქარხნის აუზში მეშახტეთა ქალაქის სკოლების უმცროსი კლასების 500 მოსწავლემ ორ თვეში ისწავლა ცურვა.

ქარხნის მწვრთნელები მათთან კვირაში ორჯერ მუშაობდნენ. ბევრი ბიჭუნა და გოგონა ახლა რეგულარულად დადის სექციაში. ნიჭიერები ჩაირიცხებიან სპეციალიზებულ კლასში, რომელიც შეიქმნება 76-ე სკოლაში.

სკოლებში უკვე 20-ზე მეტი სპორტული კლასია, სადაც გამოცდილი სპეციალისტები ასწავლიან მძლეოსნობას, ფეხბურთს, კრივსა და სხვა „ოლიმპიურ“ საგნებს. კმაყოფილი არიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლებიც: ჩვეულებრივზე უფრო დაძაბული დღის რეჟიმი, საერთო საქმით გატაცებული ბავშვების მეგობრობა დადებითად მოქმედებენ სწავლასა და დისციპლინაზე.

ახალი სკოლების მშენებლობისას გათვალისწინებულია საკუთარი აუზების აგება. ოლიმპიურ წელს შესანიშნავ საჩუქარს მიიღებენ დონეცკის ნორჩი მძლეოსნები. შენდება უკრაინაში პირველი სასკოლო მანეჟი. (საკდესი).

დონეცკი.

## სპორტულ ბაზებზე

**წყალბურთი.** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. **საქართველოს პირველობა.** 15-21 იანვარი. დასაწყისი — 15, 16, 17, 18, 19 იანვარს — 13 ს. 20 იანვარს — 11 ს. 21-ში — 12 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02024